ხელშეკრულება №179

ქ. ყვარელი 30 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის **როსტომ სესიაშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ჩატარება ყვარლის მუნიციპალიტეტში და მასში ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;(CPV37524100)
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2019 წლის ოქტომბერში, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.
2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;
2.4.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.
2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ყვარლის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება ღონისძიების ჩატარების შემდგომ 10 დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. .
4.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ქ. ყვარელი,
კუდიგორის ქ. N1
ს/კ 241578574

შპს „ეტალონი-მედია“
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

მერი

/რ.სესიაშვილი/
მიმწოდებელი

Kvareli Municipality
Digitally signed by Kvareli Municipality
Date: 2019.09.30 12:03:40 +04'00'

დირექტორი

/მ.ღოღობერიძე/

LTD "ETALONI-MEDIA"
Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2019.09.30 11:53:54 +04'00'